განმცხადებელი : შპს სფეის ლაბი
თარიღი : 08-03-2022
მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები : ტელეკომპანია TV4.ge - ის ეთერში გავიდა სიუჟეტი, რომელიც არ შეესაბამება რეალობას და სიცრუეზეა დამყარებული.

სადავო მასალა **:** https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=289567253088300

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება**:**

ჟურნალისტთა ქარტიის პირველი პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. გაშუქებიდან უნდა ჩანდეს ჟურნალისტის მცდელობა, რომ მან საზოგადოების მიმართ გამოიჩინა პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია.

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის 8 თებერვალს 19:46 საათზე, ტელეკომპანია TV4.ge გავიდა არაიდენტიფიცირებული ინფორმაცია, რომელმაც დააზარალა კომპანია "სფეის ლაბი", ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტებმა გადმოსცეს მცდარი ინფორმაცია, ვითომ ადვოკატი მირანდა შალამბერიძე არის კომპანია "სფეის ლაბის" დირექტორი. რაც გახლავთ არაზუსტი ინფორმაცია. გარდა ამისა კომპანია "სფეის ლაბს" ცილი დასწამეს და მის არაკომპეტენტურობაში დაადანაშაულეს ულიცენზიობის გამო, მოგეხსენებათ კომპანია ულიცენზიოდ ვერ განახორციელებს თავის საქმიანობას, აღნიშნული კომპანია ლიცენზიით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს.

გარდა ამისა სიუჟეტში ნახსენებია, რომ კომპანია „სფეის ლაბი ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეუსაბამო საქმიანობას, დარღვეულია სანიტარული წესები და არ შეესაბამება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილ სტანდარტებს. მოგეხსენებათ ეს ყოველივე წარმოადგენს სიცრუეს, ჟურნალისტებს არ გადაუმოწმებიათ ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტოში და დაუდგენელ ფაქტებს გადმოსცემს საზოგადოებას და იგი შეჰყავს შეცდომაში, ეს ყოველივე კი ზემოქმედებას ახდენს კომპანია „სფეის ლაბის მომხმარებლებზე და ზიანს აყენებს მის რეპუტაციას. სიუჟეტი აშკარა მიკერძოებულ ინფორმაციას გადმოსცემს საზოგადოებას, იგი გამოხატავს სუბიექტურ აზრს და არ გახლავთ ობიექტურ აზრზე დამყარებული ამბავი. ჟურნალისტებმა მიაწოდეს საზოგადოებას დამახინჯებული ინფორმაცია და შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც კომპანიას ისე ადვოკატ მირანდა შალამბერიძეს. მირანდა შალამბერიძე დაასახელეს, როგორც კომპანიის დირექტორი, რაც სწორ ინფორმაციას არ შეესაბამება, ჟურნალისტმა მირანდა შალამბერიძეს წინასწარ არც კი აცნობა, რომ მიმდინარეობდა მისი საუბრის ჩაწერა, არ დაინტერესებულა თუ ვინ გახლდათ მირანდა შალამბერიძე, რას წარმოადგენდა კომპანიისთვის და რა როლს თამაშობდა ამ ეტაპზე. ჟურნალისტებისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კომპანია "სფეის ლაბის" ანტიპიარის გაკეთება და მისი რეპუტაციის შელახვა, რაც ამორალურია და არ შეესაბამება ჟურნალისტთა ქცევის ქარტიას. რაც შეეხება პრინციპების დარღვევას მიგვაჩნია, რომ ტელეკომპანია TV4.ge -ის ჟურნალისტებმა დაარღვიეს შემდეგი პრინციპი: პირველი პრინციპი გულისხმობს, რომ ჟურნალისტმა საზოგადოების მიმართ უნდა გამოიჩინოს პატივისცემა და ბოლომდე გადაამოწმოს ფაქტები რადგან გამოაქვეყნოს სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში ჟურნალისტების მიერ არმოხდა გადამოწმება და გამოაქვეყნეს სიმართლეს შეუსაბამო არარეალური, არაზუსტი და კომპანიისთვის რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია. რაც შეეხება ადვოკატ მირანდა შალამბერიძეს, როგორც ზემოთ აღვნიშნე ინფორმაციის გადაუმოწმებლობის და მისი როგორც კომპანია „სფეის ლაბის“ დირექტორად გამოცხადების შემდეგ მის მიმართ ხორციელდება სხვადასხვა ტექსტური სახის მესიჯების მიღება. მას აყენებენ შეურაცხყოფასა და

მის კომპეტენტურობას საფრთხეში აგდებენ. ასევე, ადვოკატი მირანდა შალამბერიძის კლიენტებს შორის მოხდა გაურკვევლობა მისი პროფესიისადმი დამოკიდებულების გამო. აქედან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ ტელეკომპანია TV4.ge -ის მიერ მოხდა ჟურნალისტთა ქარტიის პირველი პრინციპის დარღვევა.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას. **:** ვეთანხმები